პროექტის მიზანს და ამოცანას შავი ზღვისპირა, ნახევარ მილიონიან ქ. ლაზიკას მაგალითზე, თბოსიცივით მომარაგების ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად ეფექტიანი, ანუ კოეფულუციური მეთოდის დასაბუთება წარმოადგენს. ქ. ლაზიკაში პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მისი ეკონომიკური ეფექტიანობა-ყოველწლიური მოგება, ტრადიციულ მეთოდთან (ჰაერის გაგრილება ორთქლკომპრესიული დანადგარებით, ხოლო თბო- და ცხელწყალმომარაგება ბუნებრივი გაზის ბოილერებით) შედარებით 100-150 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ინოვაციურ პროექტს ეკონომიკურთან ერთად გააჩნია გადამწყვეტი ეკოლოგიური უპირატესობაც – თბომომარაგების რეალიზაცია ხდება ნახშირორჟანგის გენერირების გარეშე (ბუნებრივი გაზის გამოყენების შემთხვევაში ყოველწლიურად ქ. ლაზიკას ატმოსფეროში გაიტყორცნება 35-40 ათას ტონამდე ნახშირორჟანგი).

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	საშენი მასალების ფიზიკურ-ქიმიური მექანიკა ზედაპირულად აქტიურ გარემოში (მასალების დეფორმაცია ზაგ-ში)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მერაბ ლორთქიფანიძე	

პროექტის მიზანს წარმოადგენს ზედაპირულად-აქტიურ გარემოში (ზაგ) მოთავსებული მყარი საშენი მასალების დეფორმაციების განვითარების კინეტიკის დეტალური შესწავლა, რომლის შედეგების დანერგვა მოგვცემს ამ მასალების საექსპლუატაციო მახასიათებლების თვისობრივ გაუმჯობესებას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ნაკებობების უსაფრთხო მუშაობას.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ზღვის წყლისაგან იაფფასიანი სამშენებლო მჭიდა მასალების მიღება,	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო	ა. ნადირაძე	ი. ბატიაშვილი მ. ხართიშვილი

	მზის ენერჯის გამოყენებით.	ფონდი „ეკოფონდი“.		
დამუშავებული იქნება ახალი ტიპის საყალიბე ფარები, რომელთა გამოყენებით შესრულდება მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლები.				

**პუბლიკაციები:**

**საქართველოში**

**მონოგრაფიები**

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. ქარუმიძე ვ. ბექაია	პერლიტი მშენებლობაში	საგამომცემლო სახლი „ჩოხი“ ISBN 978—9941-0-4474-8	109
2	ვ. ლოლაძე ნ. მსხილაძე ვ. პირმისაშვილი თ. თავაძე	ბუნებრივი კალთების და მიწის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის უზრუნველყოფის ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტები.	თბილისი, სტუ.	152
დამუშავებულია ბუნებრივი კალთები და მიწის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის უზრუნველყოფის ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტები, რომლებიც ემყარება ელექტროსმოსის მოვლენას.				

**სახელმძღვანელოები**

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. ჩიქოვანი	საშენი მასალების კვლევა-ძიების და კონტროლის მეთოდები	სტუ. თბილისი	180
2	ა. ჩიქოვანი, თ. ნარეკლიშვილი	საშენი მასალის წარმოების გამოყენების ტექნოლოგიის	სტუ. თბილისი	50

		სწავლების მეთოდთა		
3	ვ. ბექაია	პერლიტი მშენებლობაში	საგამომცემლო სახლი „ჩოხი“ თბილისი	109
4	ზ. ეზუგბაია ი. ირემაშვილი	შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია	სტუ. თბილისი	420
5	მ. ჯავახიშვილი რ. იმედაძე მ. წიქარიშვილი	შენობა-ნაგებობების დიაგნოსტიკა, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია		320
განხილულია შენობა-ნაგებობათა აგების ახალი ტექნოლოგიები. განხილულია ცალკეული სამშენებლო პროცესები და შენობა-ნაგებობები.				

**სტატიები**

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰპრდების რაოდენობა
1	მ. ლორთქიფანიძე, თ. ნარეკლიშვილი, ნ. ტაბატაძე, გ. ქემერტელიძე	მსუბუქი კონსტრუქციული მასალის-პოლისტიროლბეტონის ექსპერიმენტული კვლევა მისი შედგენილობის ოპტიმიზაციისა და დანამატების საშუალებით.  ჟ. „ენერჯია“.	№1(65).	თბილისი	6
2	М. Лордкипанидзе, Т. Кикава, Н. Табатадзе, Т. Джоджуа.	О трещинообразовании и закономерностях закрытия межсекционных швов и радиальных трещин в арочных плотинах.  Ж. „Энергия“.	№2(66).	თბილისი	5
3	М. Лордкипанидзе.	Физико-механические показатели бетона при его замедленной обратимой	№3(67).		5

		деформации. Ж. „Энергия„			
4	ლ. უგულავა	თანამედროვე კომპოზიციური საშენი მასალები ქ. „მშენებელი“.	№2(29) 2013	თბილისი	3
5	ა. ნადირაძე	მშენებლობაში გამოყენებული ეფექტური თვითგამკვრივებადი ბეტონი ქ. „მშენებლობა“.	№2(29) 2013	თბილისი	4
6	ა. ნადირაძე დ. ფირყულაშვილი	ცემენტის ჰიდრატაციის კვლევა და მისი გავლენა ბეტონის სიმტკიცეზე ქ. „ენერჯია“.	№1(65) 2013	თბილისი	3
7	ა. ჩიქოვანი, გ. გურეშიძე	ზემტკიცე ბეტონი ქ. „მშენებლობა“.	№3 2013	თბილისი	4
8	ა. ჩიქოვანი	რკინაბეტონის სვეტების დაზიანების და აღდგენის მაგალითები ქ. „ენერჯია“.	№3(67) 2013	თბილისი	2
9	ა. ჩიქოვანი	BOSTIK ჰიდროსაიზოლაციო მასალა ქ. „ენერჯია“.	№1 2013	თბილისი	2
10	ა. ჩიქოვანი	რკინაბეტონის ფილების დაზიანებისდა აღდგენის მაგალითები ქ. „ენერჯია“.	№2(66) 2013	თბილისი	2
11	ლ. Угулава	Волокнистые материалы в композитах.	№2(66) 2013	Тбилиси	3

12	მ. ლორთქიფანიძე, თ. ნარეკლიშვილი, ნ. თაბატაძე	მსუბუქი კონსტრუქციული მასალის- პოლისტიროლბეტონის ექსპერიმენტული კვლევა მისი შედგენილობის ოპტიმიზაციისა და დანამატების საშუალებით ქ. „ენერჯია“.	№1(65) 2013	თბილისი	3
13	მ. ტურძელაძე ზ. ქარუმიძე	მაღალისიმტკიცის ბეტონების შედგენილობის დაპროექტების თანამედროვე მიდგომები ქ. „ინტელექტუალი“.	№23 2013	თბილისი	4
14	მ. ტურძელაძე ზ. ქარუმიძე ლ. ლოლაძე	სუპერპლასტიფიკატორები- ახალი თაობის ბეტონების მიღების ეფექტური საშუალება. ქ. „მშენებლობა“.	№2(29) 2013	თბილისი	5
15	ზ. ქარუმიძე მ. ტურძელაძე მ. ვარდიაშვილი	ღვარცოფული გამონატანების დურუჯის ხეობის თიხა-ფიქლების გამოყენება მსუბუქ ბეტონებში.	2013	ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაშრომების კრებული	4
16	მ. წიქარიშვილი ზ. ქარუმიძე მ. ვარდიაშვილი	ისტორიულ-კულტურულ ძეგლებში გამოყენებული მასალების ეკომონიტორინგი.	2013	ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაშრომების კრებული	4
17	თ. თევზაძე ი. იორდანიშვილი ი. ირემაშვილი მ. შავლაყაძე გ. ომსარაშვილი	ზღვის გარემოს აგრესიული ზემოქმედება საპორტო ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე	2013	I საერთაშორისო კონფერენციის „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები- დაცვა და რაციონალური გამოყენება“	7



				შრომათა კრებული, თსუ, თბილისი, 22-24 ივლისი	
18	ლ. ა. იტიაშვილი, ი. რ. ირემავილი ტ. ვ. გვადზე	Агромелиоративный метод освоения тяжелых почвогрунтов Колхиды	2013	I საერთაშორისო კონფერენციის „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები- დაცვა და რაციონალური გამოყენება” შრომათა კრებული, თსუ, თბილისი, 22-24 ივლისი	8
19	რ. დიაკონიძე ი. ირემავილი შ. კუპრეიშვილი პ. სიჭინავა თ. სუპატაშვილი	გლობალური დაბლობის ფონზე კოლხეთის დაბლობის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა	2013	საერთაშორისო კონფერენციის „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები- დაცვა და რაციონალური გამოყენება” შრომათა კრებული, თსუ, თბილისი, 22-24 ივლისი	8
20	ი. ირემავილი ზ. ეზუგბაია	მიწისქვეშა ნაგებობების აგების ტექნოლოგია მეთოდით „კედელი გრუნტში”.	2013	III საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის „გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე	10

				პრობლემები” შრომათა კრებული სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი. ბორჯომი, 29.07- 4.08	
21	ლ. ჩალაძე ზ. ეზუგბაია ი. ირემაშვილი	ჩასაშვები ნაგებობების აგების ტექნოლოგია	2013	III საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის „გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები” შრომათა კრებული სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი. ბორჯომი, 29.07- 4.08	11
22	ზ. ეზუგბაია ი. ირემაშვილი ლ. ჩალაძე	წვრილფაროვანი ყალიბების სისტემების გამოყენება მონოლითურ მშენებლობაში	2013	ჟ. „მშენებლობა” №3(30), თბილისი, სტუ.	10
23	ზ. ეზუგბაია ი. ირემაშვილი ლ. ჩალაძე ა. ეზუგბაია	მოუხსნადი ყალიბები მონოლითურ სახლმშენებლობაში	2013	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნ. შრომათა კრებული №68, თბ ილისი,	12
24	Sh. Tserodze, V. Gogilashvili, N. Tsignadze, M. Sanikidze et. al.	On structural analysis and synthesis of transformable systems with regular elements.	#4(53) 2013	International scientific jouenal „Problems of mechanics” Tbilisi	12
25	ი. ქვარაია	მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟთან		სამეცნიერო- ტექნიკური	4

		დაკავშირებული ტექნოლოგიური პრობლემები.	2013	ჟურნალი „მშენებლობა“. 1(28).	
26	ი. ქვარაია შ. ყანჩაშვილი	შენობის ფასადზე ტერაზიტული ბათქაშის აღდგენა.	2013	სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. 1(28).	3
27	ი. ქვარაია	შენობის მთლიანი მზიდი კედლის შეცვლის ტექნოლოგიური გადაწყვეტა.	2013	სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. 2(29).	4
28	ი. ქვარაია თ. თავაძე	ქვებულის კედლების გამაგრების გარეშე დამუშავების შემთხვევა.	2013	სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. 2(29).	3
29	ი. ქვარაია	სართულშუა გადახურვის ელემენტები საყრდენი კონსტრუქციის შეცვლის ტექნოლოგიური გადაწყვეტა.	2013	სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. 3(30).	4
30	ი. ქვარაია თ. თავაძე	გრუნტის გამაგრების დროს გამოვლენილი ქვის კიბეების დაზიანებები მათი ლიკვიდაცია.	2013	სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. 3(30).	3
31	ი. ქვარაია ე. მაღანია ქ. ქუთათელაძე	მშენებლობა ტურიზმის განვითარების აუცილებელი პირობა.	2013	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №5	8
32	ი. ქვარაია	ბეტონის ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლების მოპოვებისა და გამოყენების სპერსპექტივები საქართველოში.	2013	საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შრომების კრებული №1,	6

				გორი	
33	ი. ქვარაია თ. თავაძე ქ. ქუთათელაძე	მშენებლობის მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები.	2013	საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შრომების კრებული №1, გორი	7
34	შ. ბაქანიძე ვ. ლოლაძე ი. ჩიტაძე	მონოლითური მშენებლობა მოუხსნად ყალიბიანი ტექნოლოგიით.	2013	ქ. „მშენებლობა“ თბილისი №1(28)	6
35	შ. ბაქანიძე ნ. მსხილაძე ი. ჩიტაძე ბ. სურგულაძე	შენობა-ნაგებობათა შემომფარგლავი კედლების კონსტრუქციული გადაწყვეტები	2013	ქ. „მშენებლობა“ თბილისი №2(29)	10
36	Sh. Tserodze, V. N. Tsignadze, M. Sanikidze et. al.	Diagrams stiffness characteristics in cross-section of deployable pantograph systems in transformation process”.	№4(53)  2013	International scientific jouenal “Problems of mechanics” Tbilisi.	9

განხილულია მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის ერთ-ერთი ხერხი, კერძოდ – კედელი გრუნტში. განხილულია მიწისქვეშა მშენებლობის ერთ-ერთი სახის, კერძოდ, ჩასაშვები ნაგებობების აგების ტექნოლოგია. განხილულია მონოლითურ მშენებლობაში გამოყენებული ყალიბების ერთ-ერთი სახე: წვრილფაროვანი ყალიბები. განხილულია მონოლითურ მშენებლობის ინოვაციური მეთოდი-მშენებლობა მოუხსნადი ყალიბების გამოყენებით. მოცემულია მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟთან დაკავშირებით ტექნოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. განხილულია მობათქაშების ერთ-ერთი სახე-ტერაზიტული მობათქაშება და მისი აღდგენის ხერხები. დამუშავებულია შენობის მზიდი კედლის შეცვლის ტექნოლოგიური გადაწყვეტის პირობები. მოცემულია ქვაბულის კედლების გამაგრების გარეშე დამუშავების რამდენიმე ტექნოლოგია. დამუშავებულია სართულშუა გადახურვების საყრდენი ელემენტების შეცვლის რამდენიმე ტექნოლოგიური გადაწყვეტა. სტატიაში მოცემულია ახალი ტიპის მოუხსნადი ყალიბებით მშენებლობის ტექნოლოგია. მოცემულია შენობა-ნაგებობათა შემომფარგლავი კედლების კონსტრუქციული გადაწყვეტის ვარიანტები.

## უცხოეთში

### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Sh. Tserodze, E. Medzmariashvili, O. Tusishvili, N. Tsignadze, J. Santiago Prowald, C.C. M. van t Klooster	Mechanical Supporting Ring Structure  CEAS Space Journal of European Aerospace Societies. ISSN 1868-2502.	Volume 5, <u>Issue 3-4</u> ,	<u>CEAS Space Journal</u>  <i>Netherlands</i>	pp 185-194

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ წაკვეთილი კონუსის ფორმის, ერთმანეთთან სახსრულად დაკავშირებულ ორმაგ პანტოგრაფულ დეროვან სისტემას, ანალოგიური სტრუქტურის პრიზმულ ფორმასთან შედარებით გააჩნია მეტი სივრცითი სიხისტე და მდგრადობა. მოპირდაპირე სარტყელების დიამეტრთა სხვაობა წარმოშობს სამგანზომილებიან სტრუქტურას, სადაც კარკასის ყოველი ელემენტი ერთმანეთთან გარკვეულ კანონზომიერებაში იმყოფება. კონსტრუქცია დაცულია ევროპატენტით №596.

## სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ი. ქვარაია	საქართველოში სამშენებლო სფეროს ხელმძღვანელი სტრუქტურების დახვეწის აუცილებლობის შესახებ	28-29 ივნისი 2013წ, თბილისი თსუ. პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტი
2	ი. ქვარაია, თ. თავაძე, ქ. ქუთათელაძე	თანამედროვე ქალაქმშენებლობის პრობლემები	28-29 ივნისი 2013წ, თბილისი თსუ. პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტი

განხილულია საქართველოს სამშენებლო სფეროში ამჟამად არსებული პრობლემები. პირველ რიგში აუცილებელია ხელმძღვანელი სტრუქტურის დახვეწა, რადგანაც არსებული მცირერიცხოვანი დეპარტამენტი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ვერ ასერხებს იმ ფუნქციების შესრულებას, რასაც თანამედროვე მშენებლობა მოითხოვს.

უშუალოდ ქალაქმშენებლობაში, ყველაზე აქტუალურია ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში მიმდინარე მშენებლობები, რომელიც მათ გარშემო არსებული შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების გამაგრებას მოითხოვს.

### ჰიდროინჟინერიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ლალი დოღელიანი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სრული პროფესორი:

- გაგოშიძე შალვა;
- გაგარდაშვილი გივი;
- გველესიანი თეიმურაზი;
- გედენიძე ზურაბი;
- დანელია ზურაბი;
- კოდუა ნოდარი;
- მოწონელიძე არჩილი;
- საყვარელიძე ამირანი;
- ყალაბეგიშვილი მირიანი;

ასოცირებული პროფესორი:

- ამბროლაძე თამაზი;
- ახვლედიანი ალექსანდრე;
- გოგოლაძე ავთანდილი;
- დალაქიშვილი გიორგი;
- გუბელაძე დავითი;
- დიაკონიძე რობერტი;
- კუპრეიშვილი შორენა;
- ლობჯანიძე ზურაბი;
- მარგალიტაძე იუნონა;
- მაჭავარიანი ნათელა;
- ნანიტაშვილი ვახტანგი;
- ჩახაია გიორგი;
- ჭიჭაღუა პეტრე;
- ხაზალია კონსტანტინე;

ასისტ. პროფესორი:

მარინე თოფურია.

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის  
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ქმცხეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სასმელი წყლის პროექტები	ზაურ ციხელაშვილი	კონსტანტინე ხაზალია (ინჟინერ- დამპროექტებელი)
2	მეწერული მოვლენების საწინააღმდეგო თანამედროვე ღონისძიებების შეფასება და ახალი ეფექტური ღონისძიებების დამუშავება	გოგა ჩახაია	დ. წულუკიძე, გ. ომსარაშვილი, თ. სუპატაშვილი, ი. ხუბულავა, ნ. სუხიშვილი, ო. ოქრიაშვილი

სამეცნიერო თემის – “გლობალური კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ეკოლოგიური პროცესების საწინააღმდეგო თანამედროვე საინჟინერო-ეკოლოგიური ღონისძიებების დამუშავება”-ს მესამე ეტაპის “მეწერული მოვლენების საწინააღმდეგო თანამედროვე ღონისძიებების შეფასება და ახალი ეფექტური ღონისძიებების დამუშავება”-ს ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესაბამისად, თემის შემსრულებლების მიერ მოძიებული და შესწავლილი იქნა მეწერული პროცესების დინამიკისა და მეწერსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ არსებული თანამედროვე მასალები და სამეცნიერო ნაშრომები, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე ინტერნეტით. აღნიშნული მასალების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს მაგალითზე, შეფასდა გლობალური კლიმატური ცვლილებების ზეგავლენა მეწერული პროცესების ზრდის დინამიკაზე, აგრეთვე შეფასდა მსოფლიოში არსებული თანამედროვე მეწერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

შემუშავდა მეწერსაწინააღმდეგო ადვილად განსახორციელებელი, იაფი და ეკოლოგიურად სუფთა ღონისძიება, რომელიც გულისხმობს დამეწერილ ფერდობზე გეოხალიჩა “Coton Mat”-ის დაფენას. აღნიშნულ გეოხალიჩას გააჩნია შემდეგი მეწერსაწინააღმდეგო თვისებები:

1) მეწერულ სხეულზე დაფენილი გეოხალიჩა “Coton Mat”-ის ნახვრეტებში ჩაირგვება ადგილობრივი ხე-ბუჩქოვანი მცენარეების ნერგები, რომლის მეშვეობითაც ხდება დამეწერილ ფერდობზე ბიომრავალფეროვნების (მეწერსაწინააღმდეგო ხე-ბუჩქოვანი მცენარეები) აღმოცენება.

2) იგი ხელს უწყობს ატმოსფერული ნალექების შედეგად მეწერულ ფერდობზე ფორმირებული ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებას.

გეოხალიჩა “Coton Mat”-ის ყოველივე ზემოაღნიშნული თვისებები განაპირობებს მეწერული სხეულის წონასწორობაზე მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორის ზეგავლენის შემცირებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული გეოხალიჩა “Coton Mat”-ის მსგავსი ღონისძიებები მსოფლიოში დღემდე გამოიყენება როგორც ეროვნის საწინააღმდეგო

საშუალება, მაგრამ ფერდობებზე განვითარებული მეწერული მოვლენების საწინააღმდეგოდ დღემდე არ არის გამოყენებული და წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას.

ჩვენ მიერ აგრეთვე შესწავლილი იქნა თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიები და ამ დანადგარების შესაძლებლობები ეფექტური მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად. კვლევების შედეგად შემუშავდა შემდეგი სახის მიდგომები მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გაფართოების მიზნით: როგორც მოგესხენბათ, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები შეიძლება გაეყოს ორ ძირითად ჯგუფად – ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მეწყრის გამომწვევი რომელიმე ფაქტორის (ან ფაქტორთა ჯგუფის) აღმოსაფხვრელად (ან გასანეიტრალებლად) და მეორე, რომელიც უშუალოდ მეწყრული სხეულის დინამიკის შესაჩერებელ მექანიკურ საშუალებად. პრაქტიკაში. ეს უკანასკნელი, გარკვეული ვითარებებიდან გამომდინარე, ხშირად ბევრად უფრო ეფექტურია და რაც მთავარია, მისი მოქმედების სისწრაფე მყისიერია.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ შემუშავდა მეწყერსაწინააღმდეგო ხიმიწოვანი სამაგრების ახალი ტიპი, რომლის ეფექტურობა ემყარება თანამედროვე საბურღი მოწყობილობების შესაძლებლობებს. ამ მოწყობილობებს აქვს საშუალება, ბურღვის პროცესში, ნებისმიერ სიღრმეზე, გაზარდოს ბურღვის დიამეტრი და მოახდინოს გაფართოება. თანამედროვე ტექნოლოგიის ეს მიღწევა ჩვენ საშუალებას მოგვცემს ცოცვის სიბრტყეზე მოვაწყოთ დიდი დიამეტრის სიღრმული ხიმიწოვები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შემაკავებელ ძალებს (სახუნის სიდიდეს) და შეამცირებს მეწყრული სხეულის ჩამოცურების შესაძლებლობას. მათი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია დამრეც სრიალის ზედაპირზე კვლევის ჩანებით აგებული მეწყრული სხეულის ცოცვის შემთხვევაში.

მეწყერსაწინააღმდეგო ხიმიწოვანი ღონისძიებების გამოყენება პრაქტიკაში ცნობილია, თუმცა მათი ეფექტურობა სასურველ სიღრმეზე ბურღვის მცირე დიამეტრის გამო ყოველთვის საკმაოდ დაბალი იყო. ჩვენ შემთხვევაში, სურათი საპირისპიროდ იცვლება – ამ მეთოდის დანერგვა (არა პლასტიკური და დენადი ტიპის მეწყრების შემთხვევაში) კარგ შედეგს მოგვცემს, განსაკუთრებით სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების გასწვრივ ფერდობების მდგრადობის შესანარჩუნებლად.

შესრულებული სამუშაოს ბოლო ეტაპზე შეფასებული იქნა ჩვენ მიერ შემუშავებული მეწყერსაწინააღმდეგო რესურსმზოგი ღონისძიებების ეფექტურობა, რაც გვაძლევს საფუძველს მისი შემდგომი დანერგვისათვის.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	წყალთა მეურნეობის საექსპლუატაციო ორგანიზაციების მენეჯმენტის საფუძვლების დამუშავება	მ. ვართანოვი	მ. ვართანოვი
დამუშავებულია წყალთა მეურნეობაში შემავალი ორგანიზაციების საექსპლუატაციო მენეჯმენტის საკითხები.			



**საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ჰიდროსაინჟინრო და გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ქ.ფოთის შავიზღვისპირა რეგიონში	საქართველოს შოთა რუსთაველის ფონდი	იური ქადარია	შ. გაგოშიძე (სამეცნიერო ხელმძღვანელი); ა. გოგოლაძე;

დასრულებულია პროექტის სამი ეტაპი: წყლის დინებებზე ტალღების გავრცელების პროექტში მიღებული თეორიული შედეგების საფუძველზე შემუშავდა ქ.ფოთთან წყალგამყოფი ჰიდროკვანძის ფარგლის მანიპულირების ოპტიმალური რეჟიმები, რომელთა განხორციელება ხალს შეუწყობს ნატანის აკუმულაციას ქ.ფოთის სანაპირო ზოლში აგვისტოს ქ. ფოთის სანაპირო ზოლში, ჩატარდა განმეორებითი (საკონტროლო) აგეგმვითი სამუშაოები ქალაქის არხის შესართავ უბანზე, და პორტსა და ნაბადას შორის არსებულ მონაკვეთებზე. ნატურულ დაკვირვებებთა შედეგად აღნიშნულ უბნებზე არ გამოვლინდა სანაპირო ზოლის არსებითი ხასიათის დეფორმაციები გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ფოთის პორტის რეკონსტრუქციისა და ექსტენსიური განვითარების ვარიანტების მხედველობაში მიღებით შემუშავდა კ.ნაბადასთან, მდ.რიონის მარცხენა შესართავი განტოტების სიახლოვეს, ზღვის სანაპირო ზოლთან გარკვეული კუთხით დახრილი დამცავი მოლოს მოწყობის სქემა, რომელიც ერთის მხრივ იქნება პორტის აკვატორიის ექსტენსიური გაფართოების შემადგენელი ნაწილი, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფს ფოთის პორტის ამჟამად არსებული შესასვლელის დაცვას მოსიღვეებისაგან.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	შავი ზღვის აუზის აჭარის რეგიონის მდინარეების ჰიდროეკოლოგიური მახასიათებლები და მათი მყარი ჩამონადენის ბუნებრივი ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნების გზები.	საქართველოს შოთა რუსთაველის ფონდი	ზურაბ დანელია	ც. გოლიაძე მ. თოფურია

შესრულებულია პირველი ეტაპი.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის
---	---------------------	----------------	----------	----------

		ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
3	რუსეთის მიერ კურორტ ბორჯომის ხეობაში განხორციელებული ეკოციდის (2008 წელი) შედეგად წარმოქმნილი სენსიტიური უბნების მოწყვლადობის შეფასება და ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო ეფექტური სტრატეგიის შემუშავება	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თანადამფინანსებელი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გოგა ჩახაია	შალვა ბოსიკაშვილი, ზურაბ ვარაზაშვილი, გივი გავარდაშვილი, ლევან წულუკიძე, რობერტ დიაკონიძე, თამრიკო სუბატაშვილი, ნინო ლომიძე, კახა კახელი, ირინა ხუბულავა, გიორგი ომსარაშვილი

საგრანტო პროექტის ამოცანების მიხედვით გრანტის შემსრულებლების მიერ მოძიებული და დამუშავებული იქნა ბორჯომის ხეობის ლანდშაფტური და ეკოლოგიური კონიუნქტურის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

განხორციელდა ბორჯომის ხეობაში არსებული სენსიტიური უბნების მონიტორინგი და შერჩეული იქნა სადემონსტრაციო, საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის მოსაწყობად საჭირო, ძლიერ ეროზირებული ფერდობი. შერჩეული ეროზირებული ფერდობიდან აღებული იქნა ნიადაგ-გრუნტის სინჯები, და დადგინდა მათი ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური მახასიათებლები.

საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის საცდელ უბნებზე დამონტაჟებული იქნა გეოხალიჩა „სეკუმატი“ და „ნესგეო“.

საკვლევი ინტეგრირებულ პოლიგონზე განხორციელდა 6 საველე ექსპერიმენტი, რომლის დროსაც დადგინდა საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის ფარგლებში მოსული ნალექების ინტენსიობისა და საცდელ და საკონტროლო უბნებზე ფორმირებული მყარი ჩამონადენის (ეროზირებული ნიადაგ-გრუნტი) მოცულობები. აგრეთვე დგინდებოდა საცდელ უბნებზე დამონტაჟებულ გეოხალიჩებზე აღმოცენებული ხე-ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარეების ზრდის დინამიკა. ზემოაღნიშნული მონაცემები დამუშავებული იქნა კამერალურად.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	მორწყვის თანამედროვე ტექნოლოგიების დააგრომეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენა ვაზის მოსავლიანობასა და ყურძნის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	დ. გუბელაძე	თ.ოდილავაზე კ.ბზიავა მ.მირველაშვილი

სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიული პროცესის მოდელები, ძირითადად, შექმნილია ერთწლიანი კულტურებისათვის. ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას იმით, რომ მრავალწლიანი კულტურების მოსავლის ფორმირების პროცესში გაცილებით მრავალ და რთულ ფაქტორებთან გვაქვს საქმე; რთულია მრავალწლიანი ნარგავების (ვაზის) არქიტექტონიკა და მათი გეომეტრიული სტრუქტურა. აქედან გამომდინარე, ვაზის საფარის რადიაციული, სითბური და წყლის რეჟიმების რაოდენობრივი აღწერა გაცილებით მეტ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. წინამდებარე პროექტის კვლევის ობიექტია ვაზის კულტურის პროდუქტიულობის (მოსავალი და ხარისხი) გაზრდა, რაც მოითხოვს აგრომეტეოროლოგიური, აგროტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების რაოდენობრივ შეფასებას. კაცობრიობა სულ უფრო მეტად განიცდის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნაკლებობას. შესაბამისად, დასმული პრობლემა თანამედროვე და აქტუალურია, ხოლო მისი განხორციელების აუცილებლობა გამოწვეულია მიღებული შედეგების განვრცობით მევენახეობის ფერმერულ მეურნეობებში.

5	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი (ASP) მცირე სოფლის ინფრასტრუქტურის კომპონენტი (SSRI) კონსულტაციები მომზადება ტექნიკური შესწავლის შესარჩევად სიცოცხლისუნარიანი სარწყავი გეგმის რეაბილიტაცია	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	დ. გუბელაძე	დ.გუბელაძე თ.ოდელაგაზე ი.ფავლელაშვილი ა.წვერიკმაზაშვილი კ.ბზიავა ლ.შაქარაშვილი
---	--	------------------------------	-------------	---

საქართველოს კლიმატური, ნიადაგური და რელიეფური პირობების სახესხვაობა განაპირობებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის წყლის გამოყენების არაერთგვაროვნებასაც, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი კონტინენტური კლიმატი მოითხოვს სამელიორაციო გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას და საირიგაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას.

კასპის რაიონში ერთიანი ფართობების კერძო მცირე მიწიან ფერმერებზე დანაწილებამ გაართულა წყალმომხმარებელთა შორის სარწყავი წყლის განაწილება. აღნიშნული პრობლემის მოგვარება შეუძლებელია რეგიონში წყალსამეურნეო პრობლემების გადაჭრის გარეშე, რაც უშუალოდ კავშირშია რეგიონის საირიგაციო ინფრასტრუქტურის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობასა არსებული წყლის ბუნებრივი რესურსების მარაგზე. აღნიშნულისა და აგრეთვე არაღამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობით გამოწვეული, სარწყავი არხების დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტის (25-45%) შედეგად, წყალი ვერ აღწევს როგორც მაგისტრალური, ისე გამანაწილებელი არხების ბოლო უბნებამდე და შესაბამისად ადგილი აქვს მორწყული ფართობების შემცირებას. მარტო ამ მიზეზის გამო, რეალურად მორწყული ფართობი საირიგაციოდ შემცირდა საშუალოდ 25-55 %-ით. ადგილი აქვს სამელიორაციო სისტემების მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას და საირიგაციო ინფრასტრუქტურის მოშლას, რაც თავის მხრივ იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას და მიგრაციას. პროექტის მზანია ასაბუთოს რეგიონში ჩასატარებელი რეაბილიტაციის

სამუშაოთა ეკონომიკური ეფექტიანობა				
6	“ტრასეკას” სატრანსპორტო დერეფნის (სოფ. გლდანის მონაკვეთი) მიმდებარე დეგრადირებული ფერდობების მოწყვლადობის შეფასება და ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო თანამედროვე ტექნოლოგიის შემუშავება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ლ.წულუკიძე	გოგა ჩახაია, შალვა ბოსიკაშვილი, ზურაბ ვარაზაშვილი, გივი გავარდაშვილი, თამრიკო სუპატაშვილი, შორენა კუპრეიშვილი
<p>საგრანტო პროექტის – “ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის (სოფ. გლდანის მონაკვეთი) მიმდებარე დეგრადირებული ფერდობების მოწყვლადობის შეფასება და ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო თანამედროვე ტექნოლოგიის შემუშავება-ს ფარგლებში, I კვარტალში დაგეგმილი ამოცანების შესაბამისად, გრანტის შემსრულებლების მიერ შერჩეული იქნა “ტრასეკას” სატრანსპორტო დერეფანში (სოფ. გლდანის მონაკვეთი) არსებული ძლიერ ეროზირებული ფერდობი. დეგრადირებული ფერდობიდან აღებული იქნა ნიადაგ-გრუნტის სინჯები და დადგინდა მისი ეკოქიმიური და გეოტექნიკური მახასიათებლები.</p> <p>აგრეთვე დადგინდა სოფ. გლდანის მიმდებარე ფერდობზე მიმდინარე ეროზიული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლები.</p>				

**პუბლიკაციები:**  
**საქართველოში**

**სახელმძღვანელოები**

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. დანელია, თ. ამბროლაძე, მ. თოფურია	ჰიდრაულიკა, ჰიდროლოგია, ჰიდრომეტრია	თბილისი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	461
2	რ. დიაკონიძე შ. კუპრეიშვილი ხ. კიკნაძე ლ. მაისაია თ. სუპატაშვილი პ. სიჭინავა	კოლხეთის დამშრობი სისტემების წყალ-მიმღები მდინარეების რეგულირებისა და კალაპოტის გამაგრების მეთოდური რეკომენდაციები (ახალი	თბილისი „უნივერსალი“	63

		გადამუშავებული გამოცემა).		
4	ზ.ლობჯანიძე	მეთოდური მითითება სასწავლო კურსში „ჰიდრაულიკა“ საკურსო სამუშაოს შესასრულებლად	ქ. თბილისი, ელ.ვერსია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკა CD 465.	46
5	ზ.ლობჯანიძე	ჟურნალი ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად სასწავლო კურსში „ჰიდრაულიკა“	ქ. თბილისი, ელ.ვერსია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკა CD 466.	64

კოლხეთის დამშრობი სისტემების წყალ-მიმღები მდინარეების რეგულირებისა და კალაპოტის გამაგრების მეთოდური რეკომენდაციები (ახალი გადამუშავებული გამოცემა). რეკომენდაციებში წარმოდგენილია კოლხეთის დაბლობის მდინარეთა ქსელის ჰიდროლოგიური მახასიათებლების გაანგარიშების მეთოდები, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს დამპროექტებლებს. მეთოდური მითითება საკურსო სამუშაოს შესასრულებლად სასწავლო კურსში „ჰიდრაულიკა“-ში. მეთოდური მითითება მოიცავს სასწავლო კურსის „ჰიდრაულიკის“ შესასწავლად და საკურსო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძირითად საკითხებს. განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის აგროსაინჟინერიის პროგრამით ბაკალავრის მოსამზადებლად. ლაბორატორიული სამუშაოების ჟურნალი სასწავლო კურსში „ჰიდრაულიკა“ ლაბორატორიული სამუშაოების ჟურნალი სასწავლო კურსში ჰიდრაულიკა შედგენილია აგროინჟინერიის საბაკალავრო მოქმედი პროგრამის სილაბუსის შესაბამისად.

**სტატიები**

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.კოდუა	ამჟამად მოქმედი კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ ელექტროენერგეტიკის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს, ს.ტ.ჟურნ. „ენერჯია“	1(65)	თბილისი "მეცნიერება და ენერჯია"	3
2	ნ.კოდუა	ელექტროენერჯიის ტარიფის დადგენა გამოქვეყნებული ახალი მეთოდოლოგიით შეუძლებელია, ს.ტ.ჟურნ. „ენერჯია“	1(65)	თბილისი "მეცნიერება და ენერჯია"	3

3	შ. გაგოშიძე, ა. გოგოლაძე, მ. კოდუა, დ. რაზმაძე	კურორტ ანაკლიასთან ზღვის სანაპირო ზოლის მეწესრიგების ღონისძიებათა შესახებ; მე-3 საერთ.სამეცნ.ტექნ. კონფ. „გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, გარემოს დაცვის ეკოცენტრი. თბილისი- ბორჯომი. 25-31 ივლისი.	1-2(13-14)	თბილისი „უნივერსალი“	5
4	შ. გაგოშიძე, ა. გოგოლაძე, ი.ქადარია ი.სალინაძე	К расчету распространения загрязнений в прибрежной полосе моря .	მე-3 საერთ.სამეცნ. ტექნ. კონფ. „გარემოს დაცვის, არქიტექტური სა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ სტუ-ს	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, გარემოს დაცვის ეკოცენტრი. თბილისი- ბორჯომი. 25- 31 ივლისი.	3
5	ი.ქადარია ა.გოგოლაძე ც. გიორგაძე მ.კოდუა	კალაპოტური პროცესების შესახებ მდ. რიონის წყალგამყოფი კაშხლის ქვედა ბიეფში.	№ 1-2(13-14).	თბილისი სტუ „ჰიდროინჟინე რია“	10
6	ნ.კოდუა	ინვესტიციის მოზიდვის პრობლემები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით	I საერთ. კონფ. "ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ" კრებული	თბილისი	3
7	გ. დალაქიშვილი გ. მოსიაშვილი	სისლიკატური მჭიდა მასალების სტრუქტურის ჩამოაყალიბების შესწავლა საწყის სტადიაში პოლიგრაფიული	2(66)	თბილისი "მეცნიერება და ენერჯია"	3

		ინტერფერომეტრიის მეთოდით. ს.ტ. უურნ. „ენერჯია“			
8	თ. ამბროლაძე, მ.კუბლაშვილი	უზრუნველყოფილ თეორიული მრუდების პარამეტრების განსაზღვრა კომპიუტერთ უდიდესი დამაჯერებლობის მეტოდის გამოყენების დროს;	#1(28)	თბილისი სტუ „მშენებლობა“	3
9	G. Gavardashvili, J.	Improvement Of The Social And Economic Conditions Of The Local Population On Kolkheti Lowland Considering The Ecological Safety Ensuring Of Agricultural Lands Proceedings Of The I.	I	თბილისი „უნივერსალი“	3
10	გ. გავარდაშვილი, ზ. ციხელაშვილი, ზ. გასიტაშვილი, თ. გველესიანი, ი. ჯანელიძე	შტორმული ტალღების ზემოქმედების პირობებში ზღვისპირა ქალაქების სანიაღვრე წყალარინების სისტემების ეფექტური ორგანიზაცია. მე-3 საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო შრომათა კრებული	III	თბილისი „უნივერსალი“	3
11	გ. გავარდაშვილი, ზ. ციხელაშვილი ზ. გასიტაშვილი თ. გველესიანი ი. ჯანელიძე	შტორმშემარბილებელი სისტემის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის „ნეგატიურ ეკოლოგიურ ფაქტორთა ველში“ ფუნქციონირების ხარისხის ექსპერტული შეფასების მეთოდის მეთოდის მე-3 საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო შრომათა კრებული	III	თბილისი „უნივერსალი“	3
12	გ. გავარდაშვილი	მდინარე რიონზე არგონავტების მარშრუტის აღდგენა კალაპოტის სტაბილიზაციის გათვალისწინებით	68	თბილისი „უნივერსალი“	10

		სამეცნიერო შრომათა კრებული			
13	დ.გუბელაძე	მელიორაციას გადაარჩენს დარგის სპეციალისტები და პროფესიონალი კადრები	19.01.2013წ.	გაზეთი „რეზონანსი“	1
14	დ.გუბელაძე	გადავარჩინოთ ბაზარზე ორიენტირებული ქართული სოფლის მეურნეობა	060(7347) 08.02.2013წ.გვ. 8.	გაზეთი „რეზონანსი“	1
15	დ.გუბელაძე მ.ვადაჭკორია	სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების საბაზრო მექანიზმები	გლობალიზაციის პრობლემები 21-ე საუკუნეში.საერთაშორისო კონფერენციის საიუბილეო კრებული ტ.1(7), 2013წ. გვ.50-53.	ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ თსაუ, თბილისი	6
16	დ.გუბელაძე მ.ვადაჭკორია	საქართველოს აგრარული ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში	გლობალიზაციის პრობლემები 21-ე საუკუნეში.საერთაშორისო კონფერენციის საიუბილეო კრებული ტ.1(7), 2013წ. გვ.50-53.	ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ თსაუ, თბილისი	6
17	პ. სიჭინავა, ზ. ლობჯანიძე, შ. კუპრეიშვილი.	საქართველოს მდინარეების ჰიდროტექნიკური კლასიფიკაცია კალაპოტების მახასიათებლების მიხედვით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული	№68	ქ. თბილისი გამოცემლობა „უნივერსალი“	6
18	გ. ჩახაია, ლ. წულუკიძე, ზ. ვარაზაშვილი, რ. დიაკონიძე, ი. ხუბულავა,	გამჭოლი ტიპის დვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობის შეფასება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა	№68	ქ. თბილისი, გამომცემლობა	9



	თ. სუპატაშვილი, გ. ომსარაშვილი	მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული		“უნივერსალი”	
19	ზ. ვარაზაშვილი, გ. ჩახაია, ლ. წულუკიძე, რ. დიაკონიძე, ი. ხუბულავა, თ. სუპატაშვილი, გ. ომსარაშვილი, ნ. სუხიშვილი, ო. ოქრიაშვილი	დამეწერილი ფერდობების მდგრადობის შენარჩუნება თანამედროვე გეოხაღია „Cotonmat“-ის საშუალებით, მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია “გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები” შრომათა კრებული	მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო- ტექნიკური კონფერენცია “გარემოს დაცვის, არქიტექტური სა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები”	ქ. თბილისი, ბორჯომი, გამომცემლობ ა “უნივერსალი	4
20	გ. ჩახაია, ზ. ვარაზაშვილი, ლ. წულუკიძე, ი. ხუბულავა, თ. სუპატაშვილი, ო. ოქრიაშვილი	ნიადაგის ეროზიის საწინააღ- მდეგო გეოხაღია „Eroecomat“-ის ლაბორატო- რიული კვლევა, I საერთაშო- რისო კონფერენცია “კოლხე- თის დაბლობის წყლის ეკოსისტემები – დაცვა და რაციონალური გამოყენება” შრომათა კრებული	I საერთაშო- რისო კონფერენცია “კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები – დაცვა და რაციონალურ ი გამოყენება”	ქ. თბილისი, ქ. ფოთი	6
21	მ.ვართანოვი	კოლხეთის დამშრობი სისტემების ექსპლუატაციის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი გზები.	პირველი საერთაშორისო კონფერენცია „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები- დაცვა და რაციონალურ ი გამოყენება“.	ქ. თბილისი	5
22	მ.ვართანოვი	Анализ аварий и катастроф плотин мира	მესამე საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია „გარემოს დაცვის, არქიტექტური სა და	ქ.თბილისი	5

			მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.		
23	რ. დიაკონიძე ჟ. მამასახლისი თ. სუპატაშვილი ფ. ლორთქიფანიძე	მტკნარი წყლების, განსაკუთრებით სასმელი წყლის ხარისხის დაცვა ზოგიერთი მავნე ფაქტორებისაგან. საერთაშორისო სამეცნიერო- ტექნიკური კონფერენცია „ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	119	თბილისი „უნივერსალი“	6
24	რ. დიაკონიძე ი. ირემაშვილი შ. კუპრეიშვილი პ. სიჭინავა თ. სუპატაშვილი	გლობალური დათბობის ფონზე კოლხეთის დაბლობის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის დარეგულირების გზით. საერთაშორისო კონფერენცია კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები - დაცვა და რაციონალური გამოყენება. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 22-24 ივლისი.	1	თბილისი „უნივერსალი“	5
25	რ. დიაკონიძე შ. კუპრეიშვილი პ. სიჭინავა თ. სუპატაშვილი	შავი ზღვისმთიერი აბრაზიული პროცესების დაცვის ოპტიმალური ღონისძიება. (ინგლისურ ენაზე). მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, გარემოს დაცვის ეკოცენტრი. თბილისი-	3	თბილისი „უნივერსალი“	3

		ბორჯომი. 24-31 ივლისი.			
26	რ. დიაკონიძე გ. ჩახაია ლ. წულუკიძე ზ.ვარაზაშვილი შ. კუპრეიშვილი თ. სუპატაშვილი ნ. მთიულიშვილი	თბილისის ზღვის ეკოლოგიური პრობლემები და მათი პრევენციის ღონისძიებები	68	თბილისი „უნივერსალი“	14
27	ტ.კვიციანი, ზ.გედენიძე	მთის ქანების მეწყერ- ჩამონაქცევი დაცურების ზედაპირების ანალიზური გაანგარიშება		ქუთაისი , 9-10 ნოემბერი,2013	4
28	ტ.კვიციანი, ზ.გედენიძე	განაწილებულ ძალთა სისტემის უმარტივეს სახეზე დაყვანა	მშენებლობა №4(27) 2013	თბილისი	6
29	ზ. გედენიძე, ი. გაბრიანიძე	მდინარის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრისათვის	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი	თბილისი	იბეჭდე ბა
30	Т. Гвелесиани Бердзенашвили Г.	Установление основных принципов гашения волн посредством плавающей конструкции (демпфера) на основании аналитической модели	3-th Internat.Scienti fic-Technical Conference “The Modern problems of environmental Protection, Arc hitecture And Construction” 29 July- 4August,2013	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი.  სტუ	12გვ.
31	T. Gvelesiani Tsikhelashvili Z. Gasitashvili Z. Gavardashvili G Janelidze I.	Effective organizacion of sea- shore cities Zain dzainage systems under storm waves  Action (Georgia)	3-th Internat.Scienti fic-Technical Conference “The Modern problems of environmental Protection, Architecture And Construction”	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  სტუ	3გვ.

			29 July-4August,2013		
32	T. Gvelesiani Tsikhelashvili Z. Gasitashvili Z. Gavardashvili G Janelidze I.	The evaluation method of expert judgement  Of the rate of hydrotechnical constructions functioning in “negative ecological factors sphere”  (Georgia)	3-th Internat.Scientific-Technical Conference “The Modern problems of environmental Protection,Architecture And Construction” 29 July-4August,2013	წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი.  სტუ	3გვ.

მდინარე რიონზე არგონავტების მარშრუტის აღდგენა კალაპოტის სტაბილიზაციის გათვალისწინებით მსოფლიოში ჯერ კიდევ ცოცხლობს ორი ლეგენდა საქართველოზე, რომელიც დაკავშირებულია წყალტუბოს (ანუ პრომეთეს) მღვიმესთან, და არგონავტებთან.

ნაშრომში საქართველოში ტურიზმის განვითარების მიზნით შემოთავაზებულია შემოთ აღნიშნული ამ ორი ლეგენდის პრაქტიკაში განხორციელება.

აღნიშნული წინადადება ხორციელდება მდ. რიონის კალაპოტის სტაბილიზაციით, რომელიც პარალელურად მოსახლეობისა და რეგიონის ლანდშაფტის ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან დაცვის საიმედოობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

პროექტი ითვალისწინებს მდინარე რიონზე ტურისტული მარშრუტისა და სამდინარე ტრანსპორტის აღდგენას, რომელიც მოიცავს დონისძიებათა კომპლექსს, რომლის რეალიზაცია, გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელს შეუწყობს: ქ. ფოთის ნავსადგურის გამართულ მუშაობას, ქ. ფოთის განვითარებასა და შავი ზღვის ფოთის აკვატორიაში სანაპირო ზოლის დაცვას, მდ. რიონის ქუთაისი-ფოთის მონაკვეთზე სამდინარო-სამგზავრო გადაყვანებისა და სატვირთო გადაზიდვების განხორციელებას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და დასახლებული პუნქტების წყალმოვარდნებისა და წყალდიდობებისაგან დაცვას.

ორივე ორი ლეგენდის გამოყენება, არამარტო დეტალურად გააცნობს მსოფლიოს საქართველოს წილს პლანეტის კულტურულ მემკვიდრეობის განვითარების საქმეში, ასევე ქვეყანას დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს.

შტორმშემარბილებელი სისტემის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის „ნეგატიურ ეკოლოგიურ ფაქტორთა ველში“ ფუნქციონირების ხარისხის ექსპერტული შეფასების მეთოდოლოგია

შემოთავაზებული მეთოდოლოგია ეფუძნება “არამკაფიო” სახის საანალიზო-აპრიორული ინფორმაციის დამუშავებას, რომელიც საშუალებას იძლევა ექსპერტული ცოდნის საფუძველზე გადაწყვიტოს მათემატიკური თვალსაზრისით ძნელად ფორმალიზებადი

საინჟინრო ამოცანა: ნაგებობათა კომპლექსის განსახილველი სიმრავლიდან, სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში „ნეგატიურ ეკოლოგიურ ფაქტორთა ველში“ ექსპერტული ანალიზით შეაფასოს ცალკეულად აღებული კომპლექსის ფუნქციონირების ხარისხი, როგორც ცალკეულად აღებული მადომინირებელი ნეგატიური ფაქტორის ზემოქმედების, ასევე ინტეგრირებულად - „ნეგატიურ ეკოლოგიურ ფაქტორთა ველში“- ზღვაზე დამყარებული მოკლე, საშუალო და გრძელი ტალღების იმიტაციური პირობების შესაბამისად.

შტორმული ტალღების ზემოქმედების პირობებში ზღვისპირა ქალაქების სანიაღვრე წყალარინების სისტემების ეფექტური ორგანიზაცია

ნაშრომში განხილულია შტორმული ტალღების ზემოქმედების პირობებში ზღვისპირა ქალაქების სანიაღვრე წყალარინების სისტემის საშუალებით წყალშემკრები ტერიტორიებიდან ფორმირებული დაბინძურებული ზედაპირული წყლის შეკრება - გაყვანის, გაწმენდისა და ჩაშვების ეფექტური ორგანიზაციის თანამედროვე პრობლემური საკითხები (როგორც საპროექტო, ასევე საექსპლუატაციო ეტაპზე განსახორციელებლად) - ქალაქმშენებლობის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ძირეული მოთხოვნების შესაბამისად.

#### IMPROVEMENT OF THE SOCIAL AND ECONOMIC CONDITIONS OF THE LOCAL POPULATION ON KOLKHETI LOWLAND CONSIDERING THE ECOLOGICAL SAFETY ENSURING OF AGRICULTURAL LANDS

The project discusses the pilot project preparation process between Water Management Institute of Georgian Technical University and Environmental Protection Institute of Wroclaw University(Poland), which refers to the improvement of the social and economic conditions of the local population on Kolkheti Lowland, considering the ecological safety ensuring of agricultural lands.

საქართველოს მდინარეების ჰიდროტექნიკური კლასიფიკაცია კალაპოტების მახასიათებლების მიხედვი კალაპოტში მიმდინარე პროცესები ინტესიურ ხასიათს ღებულობს, რაც გამოწვეულია მათი მრავალსაუკუნოვანი რეჟიმის დარღვევით და ბუნებაში მიმდინარე გლობალური პროცესებით. ბოლო ათწლეულში გახშირებული წვიმებისა და სხვადასხვა დანიშნულებით მდინარეების აქტიური ათვისების შედეგად დაირღვა ჰიდროლოგიური და ჰიდრაულიკური რეჟიმი, ფსკერული და შეტვიწმუნებული ნატანის ტრანსპორტირების უნარი, რამაც გამოიწვია ჰიდროტექნიკური ნაგებობების, დამბების, ხიდების, ნაპირდამცავი ნაგებობების საძირკვლის და ნაპირების ინტენსიური გამორეცხვა. სტატიაში შემოთავაზებულია მდინარეების უბნები კალაპოტებში მიმდინარე პროცესების ძირითადი სახეების, ნატანის მოძრაობის ფორმების კალაპოტის ჰიდრაულიკური და მდგრადობის მახასიათებლების მიხედვით. დახასიათებულია მდინარეების კალაპოტების მიმდებარე ტერიტორიების მდგომარეობა.

გამჭოლი ტიპის

ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობის შეფასება

ნაშრომში წარმოდგენილია გამჭოლი ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობის ახალი სქემა, რომელიც შედგება ცილინდრული ფორმის ელემენტებისაგან. აღნიშნული ნაგებობა შემუშავებულია გარსდენის პრინციპის საფუძველზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის მდგრადობას ღვარცოფული ნაკადის დინამიკური დატვირთვების მიმართ. ნაგებობის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ღვარცოფის გავლის შემდგომ არ იქმნება საჭიროება ნაგებობის ღვარცოფული მასისაგან გაწმენდის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მიერ შემუშავებული გამჭოლი ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობის დადებითი მხარეების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, შესაძლებელია მასზე ლაბორატორიული კვლევების განხორციელება, რათა იგი შემდგომში გამოიცადოს საველე პირობებში და შეიქმნას პირობები მის დასანერგად.

დამეწერილი ფერდობების მდგრადობის შენარჩუნება თანამედროვე გეოხალიჩა „Cotonmat“-ის საშუალებით

მეწერული ფერდობების კვლევას და მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ობიექტის ფუნქციონირებისა და ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით ჩვენ მიერ განხორციელებული ლაბორატორიული და საველე ცდების მეშვეობით შემუშავებული იქნა ნატურალური მასალისგან დამზადებული თანამედროვე ტიპის გეოხალიჩა „Cotonmat“, რომელიც შედგება დალიანდაგებული ბუნებრივი ბამბის თხელი ფენისგან. მეწერულ ფერდობზე გეოხალიჩის დამონტაჟების შემდეგ ხდება ზედაპირული ჩამონადენის რეგულირება და გეოხალიჩის მულჩირების ეფექტიდან გამომდინარე მცენარეული საფარის სწრაფი აღდგენა, რაც ხელს უწყობს ეროზიული პროცესების ჩაქრობას, ნაპრაღთა სისტემების ამოვსებას, შეიზღუდება მათში წყლის ჩაჟონვა, მცირდება მეწერული სხეულის გატენიანების პროცესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გეოხალიჩა „Cotonmat“ წარმოადგენს მეწერსაწინააღმდეგო ინოვაციურ, იაფ საშუალებას, რომლის გამოყენების შედეგად შესაძლებელია დამეწერილი ფერდობის სტაბილიზაციის ხელშეწყობა.

ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო გეოხალიჩა „Eroecomat“-ის ლაბორატორიული კვლევა

ჩვენ მიერ ლაბორატორიულ პირობებში გამოიცადა ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადებული გეოხალიჩა „Eroecomat“, რომელიც შედგება ტექნიკური ბამბის, ნიადაგის თხელი ფენისა და მარლის შრისაგან. ნიადაგის თხელ ფენაში თავსდება დასაცავ ფერდობზე არსებული ენდემური ჯიშის მცენარეების გაღვივებული თესვები. ლაბორატორიული კვლევის შედეგებმა დაადგინა მისი ეფექტურობა. აგრეთვე, მისი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი მზადდება ნატურალური მასალისგან, ადვილად დასამონტაჟებელია და იაფია (1 მ<sup>2</sup>-ის თვითღირებულება შეადგენს 1 ევროს). ლაბორატორიული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა საფუძველი გეოხალიჩა „Eroecomat“-ის ბუნებრივ პირობებში გამოცდისათვის.

ჩვენ მიერ განხორციელებული ლაბორატორიული კვლევები არის მცდელობა, რათა შეიქმნას ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ინოვაციური ღონისძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს იაფი და ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადებული გეოხალიჩა „Eroecomat“-ის გამოყენებით დავიცვათ მოწყვლადი ფერდობები. მტკნარი წყლების, განსაკუთრებით სასმელი წყლის ხარისხის დაცვა ზოგიერთი მავნე ფაქტორებისაგან.

